საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/149

ქ. ბათუმი 27 ნოემბერი, 2020 წ.

ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში **საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით** შეტანილი ცვლილების), ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების,** „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **2020 წლის 26 ნოემბერის ბრძანების** (MES 2200001127365) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **2020 წლის 26 ნოემბერის ბრძანების** (MES 2200001127365) თანახმად ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) **სასწავლო პროცესი** ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა მედიცინის მიმართულებით პროგრამებისა) **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარიმართოს მხოლოდ დისტანციური** სწავლების/კომუნიკაციის ფორმის გამოყენებით, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით;**

ბ) სასწავლო პროცესი მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებზე წარიმართოს შერეული ფორმით (ჰიბრიდული ფორმატით), კერძოდ, თეორიული ნაწილი დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური სამუშაოები კი - არადისტანციურად (ფიზიკურად), საუნივერსიტეტო სივრცეში და კლინიკებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

გ) წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) იმ სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ მიმდინარე სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია, დაიწყეს სწავლა დისტანციურად, თუმცა ჯერ კიდევ არ იმყოფებიან საქართველოში. ინფორმირება განხორციელდეს ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით (თანდართული ტექსტი - **დანართი 1)** და ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, სწავლების/სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში გამოყენებული ყველა საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით;

დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური კომპონენტების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით წარმართვისათვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის გონივრულ ვადაში წარმოდგენა;

ე) დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა პერსონალმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით;

ვ) ბსუ-ში საქმიანობა (მათ შორის, სამეურვეო საბჭოს, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, სტუდენტთა/მოსწავლეთა

თვითმმართველობების, სადისერტაციო საბჭოებისა და სხვა) წარიმართოს დისტანციური წესით, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით (გადაწყვეტილებების მიღებისათვის კვორუმის დადგენა, ხმის მიცემა, ოქმის წარმოება და სხვა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ბსუ-ში დასაქმებული ყველა პირი გადავიდეს მუშაობის დისტანციურ რეჟიმში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან (ამ პირების მიერ საქმიანობა ხორციელდება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად).

2. წინამდებარე ბრძანების შესაბამისად სასწავლო პროცესის განხორციელებაზე კონტროლი განახორციელონ რექტორის მოადგილეებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მათი უფლებამოსილების/ფუნქციების ფარგლებში.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს (ბსუ-ს რექტორის N01-02/130, 01.10.2020 ბრძანების მიხედვით), დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2020 წლის 27 ნოემბრის**
№01-02/149 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაცია

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა საყურადღებოდ!

როგორც მოგეხსენებათ, ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის **სასწავლო პროცესი 2020 წლის 26 ოქტომბერს დაიწყო დისტანციურ ფორმატში.**

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5039493?publication=0) შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით **,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლება (პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური სამუშაოები და გამოცდების ჩატარება) უნდა წარიმართოს არადისტანციურად (ფიზიკურად),** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 9 ნოემბრის N01-02/143 ბრძანების თანახმად, **,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი პროგრამის** სტუდენტთა მიერ **2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის გავლისათვის** (რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მზაობის

დადასტურებას) შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა და შესაბამისი ბმული განთავსდა ბსუ-ს ოფიციალურ ინგლისურენოვან ვებგვერდზე (https://bsu.edu.ge/main/page/2372/index.html).

,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი პროგრამის იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს **2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია,** რითაც დაადასტურეს ამ სემესტრის სასწავლო პროცესში მონაწილეობის მზაობა. ბსუ-ს რექტორის 2020 წლის **27 ნოემბრის** N01-02/149 ბრძანების თანახმად ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლება განხორციელდება შერეული, ჰიბრიდული ფორმატით, კერძოდ, თეორიული ნაწილი დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური სამუშაოები კი - **არადისტანციურად,** საუნივერსიტეტო სივრცეში და კლინიკებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ბსუ-ს ადმინისტრაცია მოგიწოდებთ დროულად დაბრუნდეთ საქართველოში, ჩაერთოთ სასწავლო პროცესში** და გადაიხადოთ სწავლის საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში შეგიჩერდებათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

27.11.2020 წ